სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება № 129

ქ. თბილისი 23 აგვისტო 2018 წ.

2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დაფინანსების წესის დამტკიცების შესახებ

„მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 9 ივნისის N96/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-6, მე-7, მე-8 პუნქტების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე და 2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის კომისიის 2018 წლის 21 აგვისტოს N3 ოქმის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. 2018 წლის მობილობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დაფინანსების წესი განაწილდეს შემდეგი სქემით:

ა) მოკლევადიან ინდივიდუალურ ვიზიტზე საზღვარგარეთ სამეცნიერო ღონისძიებაში მონაწილეობისათვის (მობილობის გრანტი) – 232 872 ლარი;

ბ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების ორგანიზებისათვის - 987 128 ლარი;

გ) საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებისათვის (კონფერენციების, სეზონური სკოლებისა და კომბინირებული ღონისძიებების) გამოყოფილი თანხა განაწილდეს შემდეგნაირად:

გ.ა. კონფერენციებზე - 370 954 ლარი;

გ.ბ. კომბინირებულ ღონისძიებებზე - 393 343 ლარი;

გ.დ. სეზონურ სკოლებზე - 222 831 ლარი;

2. დაევალოს სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების ფონდის ვებგვერდზე განთავსება;

3. ბრძანება ძალაშია ფონდის ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე;

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

მანანა მიქაბერიძე